ბუდაპეშტის მიტროპოლიტმა ილარიონმა მონაწილეობა მიიღო ბაჩის წმინდა მღვდელთმთავარ ირინეოსისა და ბაჩელ მოწამეთა საზეიმო კანონიზაციაში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 03.10.2022. 2 ოქტომბერ ქალაქ ნოვი-სადში (სერბეთი) საღმრთო ლიტურგიის მიმდინარეობისას, რომელსაც სერბეთის უწმინდესი პატრიარქი პორფირე უძღვებოდა, შედგა ბაჩის ეპისკოპოს წმინდა მღვდელთმთავარ ირინეოს აღმსარებლისა და წმინდა ბაჩელ მოწამეთა საზეიმო კანონოზაცია.

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს თანამწირველობა გაუწიეს აკარის მიტროპოლიტმა ბასილიმ (ანტიოქიის საპატრიარქო), ბუდაპეშტისა და უნგრეთის მიტროპოლიტმა ილარიონმა (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია), კერკირის მიტროპოლიტმა ნეკტარიოსმა (ელადის მართლმადიდებელი ეკლესია), მიხაილოვო-კოშიცის მთავარეპისკოპოსმა გიორგიმ (ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესია), მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიიდან პრესპანო-პელაგონიის მიტროპოლიტმა პეტრემ და დებარსკო-კიჩევის მიტროპოლიტმა ტიმოთემ, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან ოხრიდის მთავარეპისკოპოსმა იოანემ, ბაჩის ეპისკოპოსმა ირინეოსმა და სხვა მრავალმა იერარქმა

მცირე შესვლაზე დალმატიის ეპისკოპოსმა ნიკოდიმოსმა გაახმოვანა სერბეთის ეკლესიის წმინდა სამღვდელთმთავრო კრების გადაწყვეტილება ბაჩელი მონამეებისა და ბაჩის ეპისკოპოს ირინეოსის (ჩარიჩი) წმინდანებად შერაცხვის შესახებ. შემდეგ პატრიარქმა პორფირემ ბაჩელ მონამეთა ტროპარის გალობის ფონზე ხალხს ჯვარი გადასახა ახალშერაცხულ წმინდანთა პატიოსანი ხატით. ასევე ბაჩის ეპისკოპოსმა ირინეოსმა (ბულოვიჩი) კათედრაზე თავისი წინამორბედის – წმინდა მღვდელთმთავარ ირინეოსის (ჩირიჩი) ხატით მორწმუნეებს ჯვარი გადასახა.

სახარების წაკითხვის შემდეგ უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ქადაგება წარმოთქვა. მან დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო წმინდა მღვდელთმთავარ ირინეოსისა და ბაჩელი მონამეების ცხოვრებისეული ღვაწლის შესახებ საკუთარი მოგონებბეიდან: „მე თვითონ ჩურუგში გავიზარდე, სადაც 1941–1942 წლებში რწმენას თავი შესწირეს ჩვენი ერის მოწამეებმა. იმ ადგილებში ყველაფერი მათით, მათი ტანჯვითაა აღბეჭდილი, თუმცა მათი გამარჯვებითაც, რადგან ეს ტანჯვა და მათი ჯვარი ქრისტეს ჯვარი იყო. არასდროს დამავიწყდება ნაუბრები ჩურუგიდან, რომლებშიც მოხუცები მიამბობდნენ, რომ ხალხის წამების შემდეგ, რომლებსაც ნახევრადცოცხლებს მდინარე ტისის ყინულქვეშ აგდებდნენ, ეს მოხუცები წელამდე თოვლში ჩოქვით მიდიოდნენ წმინდა ტაძარში წირვაზე დასაწრებლად ჩურუგი დღსაც არ არის პატარა ქალაქი, იმ წლებში კი კიდევ უფრო დიდი იყო – დაახლოებიბ თორმეტი ათასი მცხოვრები. მოსახლეობის მეოთხედი დაიღუპა. იმავდროულად, იმთაგან ვინც ნათესავი თუ ახლობელი დაკარგა, არასდროს გამიგონია სიძულვილის არცერთი სიტყვა ამ ბოროტების ჩამდენთა მისამართით, – ამას, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებენ ისინი, ვინც ქრისტესნი არ არიან. როდესაც მარტოხელა ბებიებს ვსტუმრობდით, უამრავჯერ გამიგონია მათგან: „შვილო, დაე შეიწყალოს ისინი უფალმა“. განა ეს არ არის, ძმებო და დებო, ქრისტეს ეკლესია?“

საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ ტაძარში შეკრებილთ სიტყვით მიმართა ბაჩის ეპისკოპოსმა ირინეოსმა. მან გულთბილი მადლობა გადაუხადა ზეიმში მონაწილე სტუმრებს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებიდან, ასევე, სიხარული გამოთქვა მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის საყოველთაო მართლმადიდებლური აღიარების შესახებ, რომელიც სულ ახლახან შედგა, და ზეიმში მისი იერარქების მონაწილეობის გამო.

***

წმინდა მღვდელთმთავარი ირინეოსი (ერში ივან ჩარიჩი) სრემის კარლოვიცებში დაიბადა 1884 წლის 1 მაისს. 1906 წ. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით. შემდეგ ვენაში ფილოსოფიის ფაკულტეტზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სემიტოლოგიაში. 1908 წლის დასაწყისში აღიკვეცა ხოპოვოს მონასტერში და ხელთადასხმულ იქნა დიაკვნად, შემდეგ – პროტოდიაკვნად და არქიდიაკვნად. 1919 წლის 5 ივნისს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელთმთავრო კრებაზე ტიმოკსის ეპარქიის კათედრის მმართველად იქნა გამორჩეული. მალე მღვდლად აკურთხეს და არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს, ხოლო 15 ივნისს ბელგრადის საკათედრო ტაძარში სერბეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (პავლოვიჩი) სხვა იერარქების თანამსახურებით იგი ეპისკოპოსად აკურთხა.

1921 წლის ბოლოს ეპისკოპოსი ირინეოსი ბაჩის ეპარქიის კათედრაზე გადაიყვანეს. 1927 წელს სერბეთის ეკლესიის დავალებით სუბკარპატების რუსის სამრევლოებში მსახურობდა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეკუმენისტურ მოძრაობაში. სწავლობდა სერბულ, ბიზანტიურ, რუსულ და რუმინულ მართლმადიდებლურ საეკლესიო გალობებს. თარგმნიდა ძველბერძნული, ლათინური, ბერძნული, ფრანგული, რუსული, გერმანული და უნგრული ენებიდან. არის ავტორი ძველი აღთქმის რამდენიმე ტექსტისა და მათი კომენტარებისა. სერბეთში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ძველი აღთქმის მეცნიერული კვლევა, მის შრომებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სერბულ საღვთისმეტყველომ მეცნიერებაში.

მას შემდეგ, რაც 1941 წლის 8 ივლისს უნგრეთმა მოახდინა ბაჩის ეპარქიის ტერიტორიის ოკუპაცია, იგი გახდა უნგრეთის პარლამენტის ზედა პალატის წევრი. ომის დროს დააარსა საეპარქიო საავადმყოფო. მისი შუამდგომლობით 2 800 ბავშვი და ჩილბავშვიანი დედა გათავისუფლდა ქალაქ ნოვი-სადში უგრეთის საკონცენტრაციო ბანაკებიდან ქალაქ შარვართან ახლოს. ომის დამთავრების შემდეგ 17 თვის განმავლობაში ის შინაპატიმრობაში იმყოფებოდა „სერბების დაუცველობის“ ბრალდებით. 1946 წელს ფერისცვალების დღესასწაულის ლიტიაზე ეკლესიასთან ახლოს კომუნისტებმა ძლიერად სცემეს. გარდაიცვალა 1955 წლის 5 აპრილს ქალაქ ნოვი-სადში. დაკრძალულია წმინდა დიდმოწამე ძლევაშემოსილი გიორგის სახ. საკათედრო ტაძრის საძვალეში.

ბაჩელი წმინდა მოწამენი – ესენი არიან სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბაჩის ეპარქიის მღვდელმსახურები და ერისკაცები, რომლებიც რწმენისთვის ევნენ 1941-1942 წლებში. მათ რიცხვშია მღვდელმოწამე დიმიტრი ხაჯი-ბოკშანი, ბასილი სტოადინოვიჩი, მილუტინ პეტროვიჩი, სვეტოზარ ვლაშკალიჩი, იოავანე ვისლავსკი, ანჯელკო გრბიჩი, მილოშ კატიჩი, ჩედა ერემკიჩი, გიორგი ჟივანოვი, პავლე კოსტიჩი, ბრანკო ვაკანიანცი, გიორგი პარაბუჩსკი, ალექსანდრე ერდელაიანი, სტევან ივანჩევიჩი, ველკო ზუცაიჩი, მილივოი პოპოვიჩი.

ბუდაპეშტისა და უნგრეთის ეპარქიის პრეს-სამსახურის,

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბაჩის ეპარქიის პრეს-სამსახურის და

„მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მასალების მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89691/